თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი № 20

„21“ ოქტომბერი 2019 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

არჩილი თხლაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი,** საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **დავით გოგოშვილი,** სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე,** სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი,** ფრაქციის „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი,** ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი,** ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი,** ფრაქციის „ქართული ოცნება-მწვანეები“ თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი,** ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე **ალექსი ძულიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე,** იურიდიული სამსახურის უფროსი **ლევან ბერძენაშვილი,** შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **თინათინ არაბული;**

საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი;**

საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის და პიარის სპეციალისტი **ნიკოლოზ ესიტაშვილი;**

მოქალაქე **მაკა მოსიაშვილი.**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ პროექტებთან დაკავშირებულ კითხვებს უპასუხეს: **გ.თავბერიძემ, თ.არაბულმა, ლ.ბერძენაშვილმა.**

დ.ღაღანიძემ და **ლ.კოჭლოშვილმა** აღნიშნეს, რომ საკრებულოს წევრმა **ი.სულხანიშვილმა** მათ განცხადებით მიმართა კომისიებში გაწევრიანების მოთხოვნით, რის გამოც საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილი უნდა იქნეს საკითხები შესაბამისი კომისიების შემადგენლობაში ცვლილებების განხორციელების შესახებ.

ტ.გალახვარიძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის N32 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“, რადგან ნორმატიული აქტის დანართი N2 საჭიროებს კორექტირებას.

ნ.ხვისტანმა აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარის მაია მარკოზაშვილის შვებულების საკითხი უნდა ეცნობოს საკრებულოს.

ლ.კოჭლოშვილმა აგრეთვე მოითხოვა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში საკითხის „სხვადასხვა“ შეტანა.

<u>გადაწყვიტეს:</u> მიმდინარე წლის 29 ოქტომბერს, 12.00 საათზე მოწვეულ იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

   მომხს.თ.არაბული
   12.00სთ-დან - 12.20სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს.ლ.ბერძენაშვილი
   12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №12 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს.ლ.ბერძენაშვილი
   12.30სთ-დან - 12.40სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. გ.თავზერიძე
   12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალებები) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. გ.თავზერიძე
   12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის N32 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ტ.გალახვარიძე
13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

7. ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარის მაია მარკოზაშვილის შვებულების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
13.10სთ-დან - 13.20სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N15 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ.ღაღანიძე
13.20სთ-დან - 13.30სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N18 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ლ.კოჭლოშვილი
13.30სთ-დან - 13.40სთ-მდე

10. სხვადასხვა

13.40სთ-დან

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე